ჯიბრან ხალილ ჯიბრანი რელიგიაზე, ღმერთსა და იესო ქრისტეზე

მურმან ქუთელია
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი აკად. გ. წერეთლის სახელობის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტი
e-mail: murmank@yahoo.com
https://doi.org/10.52340/lac.2022.818

ჯიბრან ხალილ ჯიბრანის დამოკიდებულება რელიგიასთან, ღმერთთან და იესო ქრისტესთან მეტ-ნაკლებად განსხვავებულია მისი მოღვაწეობის სხვადასხვა ეტაპებზე, კერძოდ, ფრიდრიხ ნიცშეს გავლენით დაწერილ ნაწარმოებებსა (XX ს-ის 10-იანი წლეები) და ახალგაზრდობის და მოწიფულობის პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს შორის.

ჩვენ ორ სტატიაში [1. Кутелия М. В., Некоторые вопросы рлигиозно – философских воззрений арабских романтиков, сб. Вопросы арабистики, вип. 4 (ч. 2), Еревански гос. Университет, фак. Востоковедения, кафедра арабистики, Ереван, 2001 და 2. Кутелия М. В., Религия в творчестве Джебрана Халиля Джебрана, ქუთაისის აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის შრომები, VII (II), ქუთაისი, 2005] გავაანალიზეთ ჯიბრანის შეხედულებები რელიგიაზე, ამიტომ აქ ძალიან მოკლედ ვიტყვით შემდეგს:

ჯიბრანმა თავის ადრეული წლების ნაწარმოებებში დაუნდობლად გააკრიტიკა სასულიერო წოდების საქმიანობა. მისი აზრით. ღმერთის წარმომადგენლებს დედამიწაზე დავიწყებიათ საღვთო წიგნის მიერ დაკისრებული წმინდა მოვალეობა, ქცეულან სარწმუნეობას ამოფარებულ ქურდებად, მიზნად დაუსახავთ ხალხის ხარჯზე გამდიდრება. ამისთის გაუწირავთ ღმერთიც, ღირსებაც და ადამიანობაც. „წმინდა მამები“, მნიშვნელობა არ აქვს რომელი რელიგიის წარმომადგენლებია, ერთმანეთს ჰგვანან, ქრისტიანი ეპისკოპოსის, მუსლიმი იმამის თუ ინდოელი ბრაჰმანის საქმიანობა ხალხის ძარცვაა. ამიტომ მოთხრობაში „გიჟი იუჰანა“ და რიგ ლექსებში პროზად შესთხოვს იესოს მეორედ მოევლინოს დედამიწას და წესრიგი დაამყაროს.

მწერლის მიერ სასულიერო წოდების წარმომადგენლების დაუნდობელი კრიტიკა არ ნიშნავს რელიგიის უარმყოფლობას, მის ათეისტობას. თუმცა ისიც ფაქტია, რომ მათი საქმიანობით გაღიზიანებულს, წამოცდება ათეისტებისთვის დამახასიათებელი აზრები. მაგალითად, მას რელიგიის წარმოშობის მიზეზად ერთხანს მიაჩნდა უძველეს ადამიანთა ჩამორჩენილობა, გაუნათლებლობა, ბუნების მოვლენებში გაურკვევლობა. მისი თქმით,

ღვთისმსახურება იყო პირველი საქმე დედამიწაზე, რომელიც ადამიანმა გამოიგონა ცხოვრებისეული მოთხოვნილებებისა და საჭიროებების გარეშე. რელიგია ხალხის ექსპლოატაციისა და მორჩილებაში ყოლის საშუალებად, გაბატონებული უმცირესობის ინტერესების დამცველად მიიჩნია მწერალმა. თუმცა ფაქტია, რომ ამ პერიოდშიც საკმაოდ იგრძნობა მისი რელიგიურობა, რწმენა ღმერთისადმი. ამასთანავე ის არც ერთ რელიგიას არ ანიჭებს უპირატესობას, ყველას პატივით ეკიდება. მას სწამს იმ რელიგიისა და იმ წმინდა წიგნისა, რომელიც ადამიანთა შორის ქადაგებს და ამკვიდრებს სიყვარულს, თანასწორობას, სიკეთეს. ამავე დროს ჯიბრანის რიგი ეთიკური კონცეპციებისა უშუალოდ სახარებიდან იღებს სათავეს. ის რელიგიასა და ღმერთს კი არ ეწინააღმდეგება, არმედ სასულიერო წრის წარმომადგენლებს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მას თავისი შემოქმედებითი მოწიფულობის პერიოდში დაწერილი ნაწარმოებები, განსაკუთრებით კი „წინასწარმეტყველი“, აგებული აქვს სახარებისეულ სტილში.

ჯიბრანის შეხედულებებმა რელიგიასა და ღმერთზე შედარებით სრული სახით ჰპოვა ასახვა მის საუკეთესო ნაწარმოებში „წინასწარმეტყველი“, რომელიც გამოქვეყნდა 1923 წელს ინგლისურ ენაზე. ავტორის მსჯელობებიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ მან ჰპოვა რელიგია თვით ცხოვრებაში, რომ რელიგია მოიცავს და განუყოფელია ცხოვრებისგან. რელიგია ადამიანით არსებობს, რადგან მისი არსებობის დამადასტურებელი არის ადამიანთა ცხოვრება. ადამიანთა რწმენით მოსილი როგორც პრაქტიკული, ისე გონებრივი მოღვაწეობა არის რელიგია, ადამიანთა ცხოვრება მთლიანად და არა რომელიმე სფერო ცალკე აღებული არის რელიგია, რადგან „ვის შეუძლია გამოყოს თავისი რწმენა თავისი საქმიდან ... ვის შეუძლია თავისი ცხოვრების საათები გაფინოს თავის თვალთა წინაშე და თქვას: „ეს ღმერთს, ეს კი მე, ეს ჩემი სულისთვის, ეს კი - სხეულისთვის“ (Gibran (s.d.): al-Nabi, 92). რადგანაც ცხოვრება და რელიგია ერთმანეთისგან განუყოფელია, ცხოვრება არის რელიგია, ამიტომ ადამიანის რწმენა რელიგიისადმი ნიშნავს ცხოვრების რწმენას. ამრიგად, ადამიანის ზრუნვის საგანს შეადგენს შეიცნოს ცხოვრება, ჩაწვდეს მის აზრს, იბრძოლოს მის გასაუმჯობესებლად და სრულყოს როგორც საკუთარი, ისე სხვისი შინაგანი სამყარო. ამით არის განპირობებული ის, რომ „წინასწარმეტყველში“ იძლევა რჩევა-დარიგებებს ცხოვრების ამა თუ იმ სფეროზე, თუ როგორ უნდა იცხოვროს ცალკეულმა პირებმა და ყველამ ერთად, გვაძლევს ქცევის კანონებს, რომელთა დაცვა ადამიანს მიიყვანს ბედნიერებასთან, დაამყარებს საყოველთაო კეთილდღეობას, გაუხსნის გზას სრულყოფილებისკენ, უმაღლესი იდეალის - ღმერთის შესაცნობად. თუმცა ღმერთის სრული შეცნობა, როგორც მწერალი გვასწავლის „წინასწარმეტყველის ბაღში“, ადამიანისთვის მიუწვდომელია. ჯიბრანისეული სწრაფვა ღმერთისკენ, შეიძლება გავიგთ როგორც სწრაფვა უკეთესი, ან იდეალური ცხოვრებისკენ. ის ადამიანში ხედავს ღმერთის განსახიერებას, ღვთაებრივი სხივის ანარეკლს, მიიჩნევს მას ღმერთის შვილად, უფრო მეტიც, ის ღმერთს ხედავს მთელ ბუნებაში [Gibran (s.d): al-Nabi, 94]. აქ ჩანს მისი სუფიური და პანთეისტური შეხედულებების ნიშნები.

რადიკალურად განსხვავებული პოზიცია უკავია ჯიბრანს ღმერთთან, რელიგიასთან და იესო ქრისტესთან მიმართებაში ფრიდრიხ ნიცშეს გავლენით დაწერილ ნაწარმოებებში. მან „მესაფლავეში“ დახატა ნიცშეს ზეკაცის მსგავსი ტიპი „შეშლილი ღმერთის“ სახით, არ

უთქვამს მხოლოდ ნიცშეს სიტყვები: „მკვდარნი არიან ყველა ღმერთები; აწ ვისურვოთ, რათა ზეკაცმა იცოცხლოს“ (ბუაჩიძე თ. (1993): 64). მისი „შეშლილი ღმერთი“ ამქვეყნად მოვლენილია მბრძანებლობისთვის და არა მორჩილებისთვის. ის მხოლოდ საკუთარ თავს განადიდებს და ეთაყვანება. ის თავის თავს ღმერთად მიიჩნევს. ამიტომ მისთვის არ არსებობს არც ღმერთი, არც რელიგია და არც რწმენა იმქვეყნიური ცხოვრებისა. ყოველივე ამას ის წინაპრებისგან მიღებულ ცდომილებად მიიჩნევს. მისი ზიზღის და ქირდვის საგანია ყველაფერი ადამიანური, ადამიანთა კანონები და ადათ-წესები, მათი სოციალური ურთიერთობები, მათი საქმეები და საზრუნავები. მას უაზროდ მიაჩნია ლექსების წერა, მონობის ერთ-ერთ გამოვლინებად ცოლ-ქმრული ცხოვრება, ოჯახი - „თეთრი საღებავით დაფარულ შავ უბედურებად,“ სწავლა-განათლება და სიბრძნე - „უსუსურ ადამიანთა სახეთაგან“ და ა.შ. (ქუთელია მ. (2009): 58). მაგრამ ამგვარი უარყოფა ჯიბრანისთვის მხოლოდ მისი მოღვაწეობის მცირე პერიოდზე მოდის. საერთოდ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მისთვის დამახასიათებელია რელიგიურობა.

გამორჩეულია ჯიბრანის ნაწარმოებებში იესო ქრისტეს სახე. „ქარიშხლებში“ (10 -იანი წლების დასასრული) და მოგვიანებით დაწერილ ნაწარმოებებში მწერალი გვიხატავს იესოს და წარმოგვიდგენს მას წამებულ პიროვნებად, მებრძოლს მაღალი იდეალებისთვის. მაგრამ მისი იესო რაღაცით განსხვავდება ადრეულ წლებში დახატულ იესოსგან. ასევე განსხვევებულია ის ნიცშეს გავლენით დაწერილ ნაწარმოებებში. იესო ქრისტე „ჯვარცმულ იესოში“ [Gibran,(s.d.): Majmuatu…, 377-379] მძლავრია, თავდაუზოგავი მებრძოლი ხალხის კეთილდღეებისთვის. ის ცხოვრობდა „ამბოხებული, დაუმორჩილებელი, აჯანყდა და ჯვარს ეცვა, დაიღუპა გმირულად“. ის იყო „ქარიშხალი, რომელმაც დაამსხვრია გაქვავებული ფრთები“. მის მიზანს შეადგენდა „ადამიანის გული ექცია ტაძრად, სული - საკურთხევლად, გონება - ქურუმად.“ ამის გამო ის ჯვარს აცვეს, მაგრამ მან „თავისი სიკვდილით დაამარცხა სიკვდილი...“ და გახდა დიადი და უკვდავი, ამაღლდა ყველაზე და ყველაფერზე (ქუთელია მ., (2009): 60). მაგრამ „სადღესასწაულო საღამოში“ (ნიცშეს გავლენით დაწერილი ნაწარმოები) იესოს უკვე აღარ აქვს ზემოთ მოყვანილი თვისებები. ის ქვეყნიერებას მოვლენია არა როგორც მაუწყებელი სიკეთისა და ბედნიერებისა, არამედ როგორც მტრობისა და ომის მთესველი [Gibran, (s.d.): Majmuatu…, 424]. გვიანდელი პერიოდის იესოში ვერ ვიპოვით „ზეკაცის“ ნიშნებს, მაგრამ არც სახარებისეულია მთლიანად. ეს უნდა აიხსნას ნიცშეს გავლენით. საბოლოოდ მწერალი „ქვიშა დაქაფში“ (1926 წ.) თვითონვე აღიარებ იესოს ორ სახეს შორის სხვაობას: „ყოველ წელს ლიბანის მთებს შორის ბაღში იესო ქრისტე ხვდება იესო ნაზარეველს. დიდხანს საუბრობენ და წასვლის წინ იესო ქრისტე მიმართავს იესო ნაზარეველს: „მეშინია, ჩემო მეგობარო, რომ ჩვენ ვერასოდეს ვერ შევთანხმდებით“ (Gibran,(s.d.): Raml va zabd, 47-48). ჯიბრანის „იესო - ძე კაცისას“ ქართულად მთარგმნელი გ. ლობჟანიძე მწერლის საუკეთესო ნაწარმოებს „წინასწარმეტყველს“ მიიჩნევს ნიცშეს „ასე იტყოდა ზარატუსტრას“ წაბაძვითა და გავლენით დაწერილად, რასაც არ შეგვიძლია მთლიანად დავეთანხმოთ. თუმცა რაღაც ელემენტები გავლენისა აშკარაა. მაგრამ მისი სიტყვები „... ნიცშესაგან განსხვავებით, დიდ სიყვარულს ამჟღავნებს ქრისტეს მიმართ და მას (იესოს -მ.ქ.) სუსტ ადამიანად და მონური მორალის მქადაგებლად კი არა, ზეკაცად მიიჩნევს, რომელმაც საკუთარი თავი მომავალ

თაობებს ადამიანური ზნეობის ძლევამოსილების გაუხუნარ მაგალითად დაუსახა“ (ლობჟანიძე, (2003): 238-239) სავსებით მისაღებია ჩვენთვის. მითუმეტეს მსგავსი მოსაზრება გვაქვს გამოთქმული ჯერ კიდევ 1981 წელს დაცულ საკანდიდატო დისერტაციაში და 2001 წელს ერევნის უნივერსიტეტის შრომებში გამოქვეყნებულ სტატიაში. ჩვენ ხაზგასმით აღვნიშნავდით, რომ მოგვიანო პერიოდის იესოში (უპირველესად ვგულისხმობდით „იესო - ძე კაცისაში“ წარმოდგენილ იესოს) აღარ ჩანს გამოკვეთილად „ზეკაცის“ ნიშნები, მაგრამ ეს სახე მთლიანად არ არის სახარებისეული.

ჯიბრანმა 1928 წელს გმოქვეყნებულ წიგნში „იესო - ძე კაცისა“, არსებითად, შეაჯამა თავისი შეხედულებები იესო ქრისტეს შესახებ. ავტორი თავისებურ კომპოზიციურ ხერხს მიმართავს. ქმნის იესოს მოზაიკურ პორტრეტს. ამას იგი აღწევს თითქოსდა იესოს 77 თანამედროვე და მისი მნახველი პირის ნაამბობით. მათგან ნაწილი ისტორიული პირია, ზოგი ცნობილია ჩვენთვის სახარებიდან, ზოგი კი მწერლის მიერ მოგონილი. იგი ალაპარაკებს და თავიანთ შეხუდელებს, აზრებს იესოს შესახებ გამოათქმევინებს 77კაცს. ისინი თავიანთი პოზიციებიდან ხატავენ იესოს სახეს. ამ 77 კაციდან უმრავლესობა იესოს აღიქვამს დადებით პიროვნებად, თავის თანამებრძოლებზე მზრუნველ და მათი ინტერესების დამცველ პიროვნებად, ნაწილისთვის ის აშკარად კეთილშობილი და ღვთისგან ბოძებული ძალით მზრუნველი ადამიანებზე, ზოგისთვის სიმართლისთვის მებრძოლი და კაცთა კეთილდღეობისთვის წამებული ადამიანია, ნაწილისთვის (უმცირესობისთვის) იგი სამართლიანად დასჯილი ადამიანია, ასევე უმცირესობის ნაწილისთვის იგი მკაცრი, სასტიკი ადამიანია, რომელმაც თავისი ქმედებებით უარყოფითად განაწყო თანამემამულები. მაგრამ ფაქტია, რომ ძირითად მისადმი ადამიანთა კეთილგანწყობილებამ განაპირობა მისი პოპულარობა და მრავალი ადამიანის თვალში დარჩა ღმერთკაცად.

სანამ მოვიყვანთ რამდენიმე პიროვნების გამოთქმულ მოსაზრებას იესოზე, რაც, ჩვენი აზრით, გამოაჩენს ძირითად ხაზებს იესოს სახის წარმოსაჩენად, გაგაცნობთ 1926 წელს გამოქვეყნებულ ჯიბრანის ნაწარმოებიდან „ქვიშა და ქაფი“ ავტორის შემდეგ სიტყვებს: „არის სამი საწაული ძმისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რომელიც საღვთო წერილებში ჯერაც არ აღნუსულა: პირველი - იგი იყო ისეთივე ადამიანი, როგორიც მე და შენ; მეორე - მას ჰქონდა იუმორის გრძნობა; და მესამე - მან, ძლეულმა, უწყოდა, რომ მძლეველი შეიქმნა.“ [ლობჯანიძე, (2003): 246; აგრეთვე Gibran, (1926), Raml va zabd: 56]. დავუბრუნდეთ „იესო - ძე კაცისას.” მარიამის დედა გვიხასიათებს პატარა იესოს, გველაპარაკება მისი ხასიათის თავისებურებებზე, რაც დაედო საფუძვლად მოზრდილი იესოს პიროვნებას. მარიამის დედა ამბობს: „...მარტოობისკენ ისწრაფოდა, რთული ბუნებისა იყო და მორჩილებას ვერ ეგუებოდა... რამდენჯერ წაუღია სახლიდან ჩვენი სარჩო, რომ ვიღაც უცხო გამვლელები დაეპურებინა, რამდენჯერ სხვა ბავშვებისათვის უჩუქებია ტკბილეული, მისთვის რომ მიმიცია... რამდენჯერ ამძვრალა ჩვენი ბაღის ხეებზე ხილის დასაკრეფად, მაგრამ თვითონ კი არ შეუჭამია, სხვათათვის წაუღია“ (ჯიბრანი, (2003): 8). ლუკას ათქმევინებს: „...იგი ყველას ექომაგებოდა და სურდა ადამიანები თავისი ანაგების სისრულემდე აემაღლებინა. დიახ, ითხოვდა, ხალხს თავისი სისუსტეები მისი ძალისათვის მიენებებინა“ (ჯიბრანი,(2003): 46). ისე კაცთა შემბრალებელი იყო, რომელთა დაყენება სწორ გზაზე შეიძლებოდა, მაგრამ

შეუბრალებელი იყო იმათ მიმართ, რომლებიც ინიღბებოდნენ, თავიანთ ნამდვილ სახეს არ აჩენდნენ და თვალთმაქცობით ცდილობდნენ თავიანთი ავი, ბოროტი ზრახვები დაეფარათ და სხვებისთვის მზრუნველად წარმოეჩინათ თავი. ლუკა იესოზე საუბარს შემდეგი სიტვებით განაგრძნობს: „ცრუთათვის, ქურდთათვის და მკვლელთათვის მკაცრი მსჯავრი არასდროს გამოუტანია; მაგრამ შეუბრალებლად განსჯიდა თვალთმაქცებს, რომლებიც სახეს ნიღაბით იფარავენ, ხელებს კი - ხელთათმანით“ [ჯიბრანი,2003: 41].

იესო მუდამ წინააღმდეგი იყო ადამიანის მიერ ჩადენილ ბოროტებას ბოროტებითვე ეპასუხა, რადგან მას სჯეროდა, ეს არ იყო გამოსაველი, რადგან ასეთი ქმედება კი არ ამცირებს, ან კიდევ კი არ სპობს მას, არამედ აძლიერებს მას და კვებავს მას ახალი და ახალი დანაშაულებრივი საქციელისთვის. მისი გაგებით, შურისძიება და სამაგიეროს გადახდა სისუსტის ნიშანია, ძლიერი სულის ადამიანი კი მუდამ მპატიებელი და შემდობია. მათე მოგვითხრობს იესოს შესახებ: „გეთქვათ თქვენ თვალი - თვალის წილ, კბილი - კბილის წილ; მე კი გეტყვით: ნუ შეეწინააღმდეგებით ბოროტაბას, რამეთუ წინააღმდეგობა არის საკვები ბოროტებისა, ...მხოლოდ სუსტები უხდიან სამაგიეროს მოწინააღმდეგეს; ძლიერი სულის ადამიანი კი შეუნდობს და აპატიებს, რადგან საკუთარ ღირსებად და პატივად უჩანს, რომ მიუტევოს“ [ჯიბრანი, 2003: 45] და აგრძელებს იესოს სიტყვების მოყვანას: „გებრძანათ თქვენ: მკვლელი მახვილით წარწმყდეს, ავაზაკი ძელზე გაისვას, მეძავი ჩაიქოლოს! მაგრამ მე გეტყვით: არც თქვენ ხართ თავისუფალნი მკვლელის, ავაზაკის თუ მეძავის ცოდვისაგან, რამეთუ ... არასოდეს ხდება - ცოდვას მხოლოდ ერთი კაცი ან ქალი სჩადიოდეს. ცოდვებს ყველა ერთად სჩადის ...“ (ჯიბრანი,(2003): 46) (ეს ნათქვამი პირველად არ ჟღერს, ბევრ მის ადრეულ ნაწარმოებში ისმის, მაგალითად „წინასწარმეტყველში“).

იესო ნამდვილად იყო მოკრძალებული და თავმდაბალი ადამიანი, მაგრამ ეს ხელს არ უშლიდა ყოფილიყო პრინციპული, ვინმეს წინაშე მოეხაროს ქედი, შეშინებოდეს და დამფრთხალიყოს, ენა ჩავარდნოდა და დამორჩილებოდა. პირიქით, სათქმელს პირდაპირ ამბობდა, ამხელდა ყველას იქნებოდა ეს მბრძანებელი თუ მტარვალი. ამის შესახებ ჯიბრანი ნათანელს ათქმევინებს: „..განა გინახავთ დაჩაგრულ, დამცირებულ კაცს ეთქვას: მე ვარ ცხოვრება, მე ვარ გზა, ჭეშმარიტება და სიცოცხლე? განა გსმენიათ მოკრძალებული, თავმდაბალი კაცი ამბობდეს: მე ვარ ღმერთში - ჩვენს მამასა და უფალში და მამა ჩემშიაო? განა გინახავთ კაცი, რომელსაც არ სცოდნოდა, რა ძლევამოსილება ებოძა და ეთქვა: ვისაც არ სწამს ჩემი, არ სწამს სიცოცხლე და მარადისობა? ...ან განა საკუთარ ღირსებაში დაეჭვებულის საქციელს ჰგავდა მისი საქციელი, როცა მეძავის ჩასაქოლად მომართულ ბრბოს უბრძანა - თქვენს შორის ვინც უცოდველია, პირველი ქვა იმან ესროლოსო? ...განა იქნებ მაშინ იყო ჯაბანი, მსაჯულებს სილა რომ გააწნა და მიახალა: - მტარვალები ხართ, სულმდაბალნი, გახრწნილები და ბილწნიო !? ...ვინც იესოს ჯაბანს ეძახის, ლაჩრად ხმობს და ამით თავის გულნამცეცობასა და სულიერ სიბერწეს ამართლებს“ [იბრანი, 2003: 65-66].

იერუსალიმის გარეუბანში მცხოვრები კაცის პირით ჯიბრანი გადმოგვცემს თითქოს იუდა ისკარიოტელის ნათქვამს: „გავეცი და დღეს ჯვარზე გააკრეს... მაგრამ ჯვარზეც კი მეფურად მიიცვალა. მოკვდა ქარიშხალში ისე, როგორც კვდებიან მართალნი; იმ დიდი კაცების დარად, ქვისა და სუდარის მიღმა რომ ცხოვრობენ. სულის ამოსვლისაც კი, მოწყალე

და კეთილი იყო. გული თანალმობით ჰქონდა სავსე. ვეცოდებოდი მე, რომელმაც გავეცი იგი, ...მაგრამ იგი მოკვდა, როგორც მეფე. თუმცა ამ ქვეყნად მეფესავით არ იცხოვრა? [ჯიბრანი, 2003: 187-188].

ვფიქრობთ, რომ მოყვანილი მაგალითებიც საკმარისია იესოს ნამდვილი სახის დასანახად. აქვე დავსძენთ, „იესო - ძე კაცისაში“ მოყვანილი ჯიბრანისეული შეხედულებების და გამონათქვამების ნაწილი მის სხვა ნაწარმოებებში არის მოყვანილი მეტ-ნაკლები ვარიაციებით. ჯიბრანს ზოგჯერ სიტყვა-სიტყვით მოყავს სახარებიდან იესოს ნათქვამი, ზოგჯერ კი სახეცვლილი, რომელიც არსს არ ცვლის. მაგალითად, „მე დაგბანთ ფეხებს, რათა გახსოვდეთ: ის, ვინც ხალხს ემსახურება, კაცთა შორის უდიდესია“; „ყველა მეფუნდუკემ უნდა იამაყოს თავის მიერ ხალხისთვის გაწეული სამსახურით, რამეთუ იგი, ვინც პურს და ღვინოს გასცემს, ძმაა იმისა, ვინც თავის ბეღელში კრებს და აგროვებს თავთავთა... ღვიძლი ძმაა, ვინც ღვინოს წურავს თავის საწნახელში...“; „...ღამით მელიები თავს საკუთარ სოროებს აფარებენ, ცის ფრინველები - ბუდეებისკენ მიეშურებიან, ძე კაცისას კი არსად აქვს თავის მოსადრეკი!...“; „გეთქვათ თქვენ, თვალი - თვალის წილ, კბილი - კბილის წილ; მე კი გეტყვით: ნუ შეეწინააღმდეგები ბოროტებას, რამეთუ წინააღმდეგობა არის საკვები ბოროტებისა... მხოლოდ სუსტები უხდიან სამაგიეროს მოწინააღმდეგეთ; ძლიერი სულის ადამიანი კი შეუნდობს და აპატიებს;“ და ა.შ.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე დასკვნის სახით ვიტვით შემდეგს: ჯიბრანს თავის ადრეული წლების ნაწარმოებებში უარყოითი და კრიტიკული დამოკიდებულება აქვს სასულიერო წოდებისადმი, რაც სრულებით არ ნიშნავს რელიგიის უარმყოფლობას, მის ათეისტობას. პირიქით, რელიგიურობა მთელი მისი შემოქმედებისთვის არის გამოკვეთილად დამახასიათებელი; რადიკალურად განსხვავებული პოზიცია უკავია მას რელიგიასთან და ღმერთთან მიმართებაში XX ს-ის 10 - იან წლებში ფრ. ნიცშეს გავლენით დაწერილ ნაწარემოებებში; საინტერესოა სხვადასხვა წლებში ჯიბრანის მიერ შექმნილი იესო ქრისტეს სახე. მისი იესო მძლავრია, თავდაუზოგავი მებრძოლი ადამიანთა კეთილდღეობისთვის, რისთვისაც საკუთარი სიცოცხლე დასთმო და მათვის ჯვარს ეცვა, მან „თავისი სიკვდილით დაამარცხა სიკვდილი“ და „გახდა დიადი და უკვდავი, ამაღლებული ყველაზე და ყველაფერზე.“

ლიტერატურა:

1. ბუაჩიძე თ., (1993): ფრ. ნიცშე და მისი „ესე იტყოდა ზარატუსტრა“, თბილისი
2. ლობჟანიძე გ., (2003): ჯიბრან ხალილ ჯიბრანისა და მისი „იესო - ძე კაცისას“ შესახებ; ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, „იესო - ძე კაცისა“, თბილისი
3. ქუთელია მ., (2009): არაბული რომანტიზმი, თბილისი
4. ჯიბრან ხალილ ჯიბრანი, (თარიღის გარეშე): „იესო - ძე კაცისა“, არაბულიდან თარგმანი გ. ლობჟანიძისა, თბილისი
5. Gibran Khalil Gibran, (s. d.): Al-Majmuatu al-kamilatu li mualafatihi, Bairut (in Arabic)
6. Gibran Khalil Gibran, (s.d.): Raml va Zabd, Bairut (in Arabic)
7. Gibran Khalil Gibran, (s.d.): Al- Nabi, Bairut (in Arabic)

Murman Kutelia

Gibran on Religion, Gad and Jesus Christ

Abstract

In his early works, Gibran is negative and critical towards the ecclesiastical rank. In his view, religion for clerics is a means of improving their personal well-being. The activity of a Christian Bishop, Muslim Imam or Hindu Brahmin is robbing of people. However, such an attitude of the writer towards the clergymen does not at all mean the rejection of religion, his atheism. On the contrary, religiousness is a characteristic feature of his work. In addition, a number of Gibran's ethical concepts are stemming directly from the Gospel. Some works, written in the English language, e. g. The Prophet, are constructed according to the pattern of the Gospel. Gibran sees in a human being a reflection of the divine ray and regards him as a child of God.

A drastically different position with respect to religion and God is found in Gibran's works, written under the influence of Fr. Nietzsche in the 1910s. Like Nietzsche, Gibran in the Gravedigger even comes to the denying of God.

The image of Jesus Christ, created by Gibran at various periods, is of interest. Jesus in his works is powerful, struggling self-sacrificingly for the well-being of people. Jesus came "tu make the human heart a temple, and the soul an altar, and the mind a priest." That is why He was crucified, but He "has conquered death with death" and "became glorious and immortal, elevated over everyone and everything."